

**მიცვალებულის სულის
მოსახსენებელი დღეები გალში
(გალის რაიონის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით)
COMMEMORATING DAYS
OF THE DECEASED IN GALI
(BASED ON ETHNOGRAPHIC MATERIALS
OBTAINED IN GALI REGION)**

ნინო ხარჩილავა

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

Nino Kharchilava

Batumi Art Teaching University
Batumi, Georgia

ABSTRACT

Funeral and mourning customs are too conservative and encompass essential peculiarities, making them significant for the study of traditional viewpoints. In general, the cult of the deceased is a vast topic. Due to its broad scope, we will focus on specific details or material facts of historical-cultural memory that serve as evidence for the preservation of older traditions.

In terms of Geography, the research theme covers the present-day Gali region, historically known as Samurzakano. Recent political-economic and relevant socio-cultural circumstances have sparked interest in the ethnographic objects of this region. Today, the Gali population is dispersed across various Georgian regions, facing challenges related to their scattered presence. Consequently, their characteristic traditions are changing rapidly in comparison to those in Gali.

In Gali, after the death of a family member, mourners used to initiate a ritual meal dedicated to the soul of the deceased within their own family. They divided the expenses into two parts: one related to specifically selected memorial days (the 7th Day, the 40th Day, and the first anniversary after the passing of the deceased), and the other associated with customs for other soul blessing days on different holidays.

The paper includes ethnographic materials obtained in present-day Gali, revealing close typological similarities to customs found in different regions of Georgia. In Gali, the world of the deceased is referred to as Oshureti. The service for the souls of the deceased is also noteworthy, with the late souls being judged based on their sins and grace, as described in the ethnographic materials.

According to religious beliefs, the deceased played a significant role in the lives of their family members and relatives, capable of bringing either good or bad luck depending on how the family members treated and served the souls of the deceased. The special commemorative days, common in Gali, demonstrated the supreme power attributed to the late souls.

The foundation of customs related to the deceased is rooted in beliefs about the afterlife or the realm where they continue to exist following death. Informed by folk sources and Christian ideology, the afterlife is perceived as eternal. Life is conceptualized as having two parts, with an unbroken connection between them, forged during one's earthly existence. This connection is expressed through ritual care not only for the living but also for deceased family members. Georgian beliefs shape this care, positing that the soul endures in the afterlife and requires provisions akin to those needed in earthly life. Various traditions illustrate this belief, such as placing dishes and drinks next to the deceased, lighting a candle, placing meals, money, and gifts in the coffin, settling debts, and observing Tabakish Dodguma – the laying of the table during soul memorial days. These practices reflect the perspective that a departed soul requires the necessities of life even after death. Therefore, family members and relatives engage in these rituals, believing that specially dedicated meals and sacrificial offerings (poultry, cattle) benefit the departed.

Despite a recent trend of weakening and disappearing traditions, funeral and mourning rituals continue to maintain their vitality in traditional culture.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს ეთნოგრაფია, გალის რაიონის ეთნოგრაფიული მასალა, მიცვალებულთა მოხსენიების ტრადიცია, ტაბაკი – საკურთხი.

Keywords: Ethnography of Georgia, Ethnographic material of Gali region, tradition of commemorating the deceased, Tabaki - food and drink blessed by priest.

ხალხური წარმოდგენების მიხედვით, სულეთი – ომურეთი ამქვეყნიურისაგან სრულიად განსხვავებულია; ეს არის გარდაცვლილთა სულების სამყარო. გარდაცვლილთა სულები ყოვლისშემძლე არიან, მათ შეუძლიათ ცოცხლებს მოუტანონ როგორც სიკეთე, ასევე უბედურება. ამიტომ ჭირისუფალი ყოველთვის ცდილობს ყოველნაირად ასიამოვნოს თავისი მიცვალებულის სულს და გადაუხადოს ტაბაკი – საკურთხი. გარდაცვლილი სულეთში თავს კარგად იგრძნობდა, თუ შეეწირებოდა შესაწირავი: პირუტყვი, საკვები და სხვა (გიორგაძე 2010: 153). მაგრამ გარდაცვლილი საიქიოში რომ მოხვედრილიყო, უნდა განხორციელებულიყო რიტუალური ქმედებები, რომლებიც საშუალებას მისცემდა დაინტერესებულ პირს, შეჭრილიყო საკრალურ სივრცეში და გარკვეული ფასეულობები გადაეტანა სამზეოდან სულეთში (სურგულაძე 2003: 192).

ანიმისტური წარმოდგენების თანახმად, ადამიანი გარდაცვალების შემდეგ გადადის ერთი სამყაროდან მეორეში, სადაც მას ისევე სჭირდება კვება და ცხოვრებისათვის აუცილებელი საგნები, როგორც სიცოცხლეში. სწორედ ამგვარი შეხედულების ამსახველია გარდაცვლილი ადამიანის თავთან ტაბლის დადგმის წესი. მასზე აწყობდნენ ყოველდღიურ საკვებს, ჭიქით ღვინოს და წყალს, ანთებდნენ სანთელს და ა.შ. (გიორგაძე 1987: 11). მიცვალებულმა იმქვეყნად ნეტარად რომ იცხოვროს, მისი სული

აქ, სააქაოში, უნდა მოიხსენიონ და მის სახელზე ოჯახმა „ტაბაკი“ – საკურთხი გააკეთოს. მართალია, სული თავის თავზე ვერ ზრუნავს, მაგრამ, მოსახლეობის რწმენით, ცოცხლებზე ზეგავლენის მოხდენა შეეძლო, ამიტომ ყველა ცდილობდა მიცვალებულთა სულებისათვის პატივი მიეგო.

მიცვალებული სულის მოსახსენებელი პურობის მოწყობის შესახებ ყველაზე ადრინდელ ცნობას მელქისედეკ კათალიკოსის მიერ 1029-1033 წლებში შედგენილ ანდერძში ვხვდებით (ქართული სამართლის ძეგლი 1970: 24). ოჯახი სოფლის მღვდელს ორმოცი დღის განმავლობაში შეუკვეთავდა წირვას და ამისთვის მას გასამრჯელოს აძლევდა. საეკლესიო სამართლის მიხედვით, მიცვალებულის დაკრძალვა-მოხსენიებასთან დაკავშირებული გამოსაღები ხარჯები დიფერენცირებული იყო და საგრძნობლად განსხვავდებოდა საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებისათვის (ქართული სამართლის ძეგლი, 1970: 207; ლამბერტი 1937: 66).

სულის მოსახსენებელ დღეებში (კილემ განწყუმუ – მკლავის გახსნა, ჟარნეჩი – ორმოცი და წანაშ დუდი // მოწანუა – წლისთავი) მოწვეული სტუმრები ჭირისუფლის ოჯახში სურსათით მიდიოდნენ. რესპონდენტები მიუთითებენ, რომ ეს აუცილებელია, რადგან ღურელიშ თიას ვემნიტენა „მიცვალებულის წილს ვერ შეირჩენენ“.

3. ჭარაიას განმარტების მიხედვით, ტაბაკი არის „სუფრა, ტაბლა. ღურელს ტაბაკი ქუდუდგეს: მკვდარს (მიცვალებულს) ტაბლა დაუდგეს. ე. ი. მიცვალებულის მოსახსენებლად ტაბლა გააკეთეს (ჭარაია 1997). ო. ქაჯაიას განმარტებით, ტაბაკი – საწესო სუფრა მიცვალებულისთვის, საკურთხია (ქაჯაია 2002: 160). მართებული იქნება, მეგრულში დადასტურებული ფორმა ტაბაკი დავუკავშიროთ სულხან-საბას ლექსიკონში ფიქსირებულ ტაბლა ფორმას: ტაბლა არს სუფრა და ყოველი ფეკედი ფიცარი წინ სადგმელი, სუფრა (ორბელიანი 1993: 180). ტაბაკი დასტურდება სხვა ქართველურ დიალექტებშიც: დაბალი სუფრა, გრძელი ფიცარი ოთხ ფეხზე საჭმლის დასადებად და მოსახსენებლად (ლონტი 1984). რაც შეეხება უცხო სიტყვათა კვალს ქართველურ ენებში, ცნობილია, რომ მაგიდის მსგავსი საგანი ქართულ სინამდვილეში გახლდათ ძველქართული ტაბლა, რომლის ლექსიკური ფარდია მეგრული ტაბაკი. ქართული ენის განვითარების დინამიკა გვიჩვენებს, რომ ქართულში ტაბლას ჩაენაცვლა მაგიდა, პირველ რიგში, ჩვენი აზრით, ჩაენაცვლა საგანი, რომელიც ზომით, ფორმით, სიდიდით, სიმაღლით იყო სხვა. ასეთ დროს ქართულს ან უნდა შეექმნა ამ ახალი საგნისთვის სახელი, საკუთარი ენობრივი მონაცემების გათვალისწინებით, ან უნდა ესესხა. ქართულმა ისესხა არაბული წარმომავლობის მაგიდა. მეგრულმა და სვანურმა ისესხეს: რუსული სტოლი (თუმცა სვანურში ორი სვანური სიტყვაც განვითარდა მაგიდის აღმნიშვნელად), ლაზურმა კი – ქართული მაგიდა. მაგრამ მიცვალებულთან დაკავშირებულმა რიტუალმა შემოინახა არა სტოლი, არამედ – ტაბლა. თანამედროვე გალის რაიონში როდესაც მიცვალებულის ოჯახი მეზობლებსა და ნათესავებს იწვევს საკურთხზე, მაგინაფალი – დამპატივებელი ასე ატყობინებს: ტაბაკმა საკმელ ქიგლამდვას „ტაბაკზე საკმეველი დამიდოს“.

თ. სახოკიას ცნობით, ძველად აღდგომის მეორე დღეს შურეფი – სულები ეწოდებოდა და მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად ოჯახი ამზადებდა საკურთხს (ტაბლას), რომელიც სასაფლაოზე გაჰქონდათ, სადაც მას მღვდელი აკურთხებდა და ნახევარი მას, ხოლო ნახევარი მიცვალებულის ოჯახს რჩებოდა (სახოკია 1940: 182-185). შემდეგ სასაფლაოზე ხის ჩრდილში ყველა ერთად შეიკრიბებოდა და მოილხენდნენ. დროთა განმავლობაში ეს წესი შეიცვალა, რადგან მღვდელი უკვე ვერ მიდიოდა სასაფლაოზე და თან სასაფლაოც უკვე ეკლესიის ეზოს გარეთ იყო გატანილი, ამიტომ ამ დღეს სასაფლაოზე წავიდოდნენ, მერე საკურთხს ოჯახში გააკეთებდნენ.

ტაბაკის – საკურთხის მაგიდის ქვეშ დადებდნენ ხარის, ცხვრის ტყავ-ფეხს, რომელსაც შემდეგ მარხავდნენ ან წყალს გაატანდნენ. „მკლავის გახსნაზე / მეშვიდე დღეს“ (კილემ განწყუმუ // შკვითი), ორმოცზე (ჟარნეჩი) და წლისთავის საკურთხზე (მოწანუა) აუცილებლად იკვლებოდა იხვი. დაკლული იხვის თავს სასაფლაოზე დამარხავდნენ. ინფორმატორთა გადმოცემით, ეს ფრინველი იცავდა მიწაში მიცვალებულს ქვეწარმავლებისგან.

ტაბაკის გამზადების შემდეგ მიდოდნენ სასაფლაოზე, სადაც მიჰქონდათ ყველა სახეობის გამზადებული კერძი სასმელებთან ერთად. საფლაოზე იტირებდნენ და შესანდობარს იტყოდნენ. ბრუნდებოდნენ სახლში, სადაც უკვე ტაბაკი იყო გამართული. ტაბაკის სუფრაზე სანთელს დაანთებდნენ, სასაფლაოდან მობრუნებულები ხელს ღვინოგარეული წყლით დაიბანდნენ და შემდეგ იმ ოთახში შედიან, სადაც ტაბაკი არის გამართული. სავარაუდოდ, ეს ნიშნავდა სულის მოპატიჟებას სახლში მისი სულის საკურთხებლად დადგმულ ტაბაკზე. მოსახლეობის რწმენით, ამ დროს მიცვალებულთა სულები სახლში მოდიან და თვალყურს ადევნებენ ყველაფერს. ამიტომ ოჯახში ტაბაკის გამართვის დროს ოთახის კარი და ფანჯარა აუცილებლად ღია უნდა ყოფილიყო. საკურთხისთვის გამოყოფილი მაგიდის ქვეშ დევს ჭურჭელი, რომელშიც ნაკვერჩხალია. ყოველი დაპატიჟებული სტუმარი საკმეველს იღებს, რომელიც მაგიდაზე დევს, ჩააგდებს ნაკვერჩხალში. სუფრაზე საკმეველთან ერთად დევს წყლით და ღვინით სავსე ჭიქები. საკმეველის ნაკვერჩხალში ჩაგდების შემდეგ პურზე ღვინოს დაასხამენ და იტყვიან: ღორონთქ განათლას „ღმერთმა გაანათლოს“, ხოლო იქ მყოფ ჭირისუფალს მიმართავენ: იმ მოულაშა დუს ვამკორჭვებდან „იმის (იგულისხმება გარდაცვლილი) მოსვლამდე თავი არ გტკენოდეთ“.

სანთლის დაწვის შემდეგ შეეძლოთ მისხდომოდნენ საერთო სუფრას, მაგრამ მანამდე ტაბაკის სუფრაზე დადგმულ წყალს გადაასხამდნენ, სუფრას ხელს მოკიდებდნენ და ადგილს შეუნაცვლებდნენ. ეს შეიძლება იმიტომ კეთდებოდა, რომ მერე ამ სუფრას ჭირისუფალი მიუსხდებოდა და მიირთმევდა (ადგილის გადანაცვლება). ამ სუფრაზე აუცილებელია აგრეთვე ფულის დადება, რასაც სიუხვითა და ბარაქიანობით ხსნიან.

თანამედროვე გალის რაიონში 7 იანვარს ოჯახში აუცილებლად იდგმებოდა მიცვალებულისათვის საკურთხი, ეს რიტუალი განკუთვნილი იყო მიცალეულთა სულის მოსალბობად. ადგილობრივების გავრცელებული რწმენით, მათ შეეძლოთ ევნოთ ან კეთილი ზემოქმედება

მოეხდინათ ცოცხლებზე. აგრეთვე საკურთხს ჭირისუფალი თავისი მიცვალებულისათვის სულთობის – სულთმოფენის დღეს აკეთებდა. სულთმოფენა, სულების მოსაგონებლად განკუთვნილი დღე (მაკალათია 1941: 359). სულთმოფენა როგორც კანონიკურად, ასევე ხალხური წარმოდგენით, მიცვალებულთა მოსახსენიებელი დღეა. ამ დღეს მიცვალებულის ოჯახი აკეთებდა საკურთხს. სულთმოფენის დღესასწაულზე მიცვალებულისათვის საკურთხის დადგმა ცნობილია საქართველოს სხვადასხვა კუთხისთვისაც (გიორგაძე 1987: 61; ლამბაძე, 2001: 266). ოჯახი საკურთხს უკეთებდა თავის მიცვალებულს მარაშნა-ს – მარიამობას (Кипшидзе 1914: 276). მარაშინა – მარიამობისთვისა (ქუთელია 2005: 55) და „მარიამის ხსენებას“ ნიშნავს.

საკურთხი მზადდებოდა პერტობა-ს – იგულისხმება პეტრე-პავლობის დღესასწაული (ქაჯაია 2002: 481). პერტობა ივნისის თვეში აღინიშნებოდა. ამ დღეს (პერტაბა) აფხაზებმა ძველი და ახალი მიცვალებულებისთვის საერთო საკურთხის დადგმა იცოდნენ. სიტყვა მეგრული პერტობა-დანაა შესული აფხაზურში (ანთელავა 2006: 63). შესაძლოა, ეს ტრადიცია ქრისტიანობას უკავშირდებოდეს, თუმცა მიცვალებულთა საყოველთაო მოხსენიება მართლმადიდებლური კალენდრით აღდგომის განახლების შემდგომად დადგენილი.

თანამედროვე გალის რაიონში ოჯახი, რომელსაც ახალი მიცვალებული ჰყავს, შეძლების მიხედვით მთელი წლის განმავლობაში ყოველ შაბათს საკურთხს ამზადებს მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად. რესპონდენტთა გადმოცემით, შაბათი დღე მიცვალებულთა მოხსენიების დღეა, რასაც წერილობითი წყაროებიც ადასტურებს „მიცვალებულთა მოხსენიება შაბათობით“ (Кипшидзе 1914: 519; Джанашия 1960: 84).

ამრიგად, ოჯახის მიერ თავისი მიცვალებულისთვის საკურთხის გაკეთება სამგლოვიარო სუფრის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რომელიც დამახასიათებელი კონსერვატიულობით ინარჩუნებს კოლექტიური ტრაპეზის სიმბოლურ ნიშნებს, წმინდა საკვების საკრალურ დანიშნულებას. თემის წყაროთმცოდნეობის საფუძველს ძირითადად ეთნოგრაფიული მასალები წარმოადგენს, რომელთა ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულმა საკურთხის გაკეთებამ თითქმის უცვლელად შეინარჩუნა ძველი წეს-ჩვეულებებისა და წარმოდგენების ერთობლიობა.

გამოყენებული ლიტერატურა

- ანთელავა 2006:** ანთელავა ნ., აფხაზური მითები, რიტუალები, სიმბოლოები. თბილისი, 2006.
- გიორგაძე 1987:** გიორგაძე დ., დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში. თბილისი, 1987.
- გიორგაძე 2010:** გიორგაძე დ., რიტუალური სამოსელის საკითხისათვის („სულის ტალავარი), თბილისი, 2010.
- ლამბერტი 1937:** არქანჯელო ლამბერტი., სამეგრელოს აღწერა. თბილისი, 1937.

- მაკალათია 1941:** მაკალათია ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბილისი, 1941
- ორბელიანი 1993:** სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II. თბილისი, 1993.
- სახოკია 1940:** სახოკია თ., მიცვალებულის კულტი სამეგრელოში, მსე, III. თბილისი, 1940.
- სურგულაძე 2003:** სურგულაძე ი., მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში. თბილისი, 2003.
- ქართული სამართლის ძეგლი 1970:** ქართული სამართალი ძეგლი, ტ. III. თბილისი, 1970.
- ქაჯაია 2002:** ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I. თბილისი, 2002.
- ქუთელია 2005:** ქუთელია ნ., ლაზურის ფონემატური სისტემა. თბილისი, 2005.
- ღამბაშიძე 2001:** ღამბაშიძე ნ., რატომ უწოდებენ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში მიცვალებულის სულს „სულიწმინდას“? ჟურნალი ქართველური მემკვიდრეობა, ტ. V. ქუთაისი, 2001.
- ღლონტი 1984:** ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. თბილისი, 1984.
- ჭარაია 1997:** ჭარაია პ., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1997.
- Джанашиа 1960:** Джанашиа Н. С., Статьи по этнографии Абхазии, Сухум, 1960.
- Кипшидзе 1914:** Кипшидзе И. А., Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестомат-ией и словарем. С-ПБ, 1914.